ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 10 ივლისი № 1519

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტელეფონი № 741

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—4)

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ. „Фармацевтика“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. შიშინაშე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 სა თამდე.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე— ბავშვების. 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშვო 1—2 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი დ. ბეგთაბეგოვი—სიფილი ისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 აათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). (წლ.) ტელეფონი № 274.

დაარსდა ქალაქ ტფილისში

პირველი

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—11)

ცარტიუჟი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექ ან დროვის ბაღის კუთხეში. (800—9)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

მე-10-ე საარტილერიო ბრიგადის პოდპორუჩიკი თავ. თუმანიშვილი გადაყვანილ იქმნა კეგსგოლმის საიმპერატორო ავსტრიის ლეიბგვარდიის პოლკში.

დათხოვნილ იქმნა უმთავრესი შტაბის უწყების ბათუმის მაზრაში სათადარიგო მოხელე გუბერნსკი სეკრეტარი აბაშიძე.

საგლეხო სახელმწიფო ბანკი

ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხი ვერ მოიკიდეს მცირე კრედიტის დაწესებულებათ. რუსეთში, ბოლო ხანებში მაინც, ძალიან ვრცელდება სოფლებში ამ გვარი დაწესებულებანი. მათს გავრცელებას ხელს უწყობს ერობა, რომელიც თავის მოვალეობად სთვლის დაეხმაროს ხალხს ეკონომიურ მოღვაწეობაში. ჩვენში ამ როლს არავინ ასრულებს, ამიტომაც სოფელი და გლეხი ღვთის ანაბარა არიან მიტოვებულნი; მოკლებულნა მოკლე ვადიან ხელსაყრელ კრედიტს, ისინი იძულებულნი ხდებიან მიჰმართონ მევახშეებს და სამუდამოდ ებმიან მათ საშინელ ქსელში.

უკეთესს მდგომარეობაში არ არის ჩვენებურ სოფელში გრძელ ვადიანი სესხის საქმეც. მართალია, ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკები იძლევიან სესხს მამულის გირაოთი, მაგრამ მათი მოქმედება სასურველად ვერ გაფართოვდა. ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ჩვენში დღესაც არ შესრულებულა გამიჯნვის საქმე და გაძნელებული იყო მამულების დაგირავება, რადგანაც გამოურკვეველი იყო საკუთრების უფლება. დღეს გამიჯნვის საქმე, ცოტად თუ ბევრად, გაუმჯობესდა და სწრაფად მიდის წინ; ასე, რომ გრძელ ვადიანი კრედიტის ოპერაციამ უნდა იმატოს. გარდა ამისა, ბოლო ხანებში გაძლიერდა ადგილ მამულის მობილიზაცია; ჩვენი თავად-აზნაურობა ძალიან ეტანება სახელმწიფო ბანკს, რომელსაც ბევრი მამული რჩება გასასყიდად და კერძოთაც ბევრი მამული იყიდება. გლეხობა, რომელიც შევიწროვებულია ადგილ-მამულის ნაკლებობით, საუკეთესო მყიდველი შეიქნებოდა თავად-აზნაურთა მამულებისა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ისევ გრძელ ვადიან კრედიტის საქმის რიგიანად მოწყობა.

რუსეთის შიდა გუბერნიებში ამ მხრით გლეხობას დიდს სამსახურს უწევს სახელმწიფო საგლეხო ბანკი. მის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს ხელი შეუწყოს ადგილ მამულის მობილიზიციის ნორმალურ მსვლელობას. ბანკი დიდ-ძალ ფულს აძლევს ზომიერ სარგებლით გლეხებს, გლეხთა ამხანაგობათ, სოფლის საზოგადოებათ, როდესაც უკანასკნელნი აპირებენ მამულის შეძენას. ამიტომ სახელმწიფო საგლეხო ბანკის მეოხებით რუსეთის გლეხობამ ბევრი მამული დაიხსნა სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკიდან. საგლეხო ბანკი ერთგვარი დამატებაა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა: უკანასკნელი ჰყიდის მამულებს, პირველი ყიდულობს; ამრიგად მამული გადადის იმათ ხელში, ვისაც მისი მოხმარება შეუძლია.

ჩვენში უკვე რამდენიმე ხანია არსებობს სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკი; მისი მოქმედება თან-და-თან ძლიერდება, მაგრამ მისი მოღვაწეობა ერთმხრივი და მავნებელიც გახდება ქვეყნისათვის, თუ გვერდში არ ამოუდგა ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლება ნორმალურად მოაწყოს სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებულ მამულების გაყიდვის საქმე. ეხლა ამ მამულებს უმეტეს ნაწილად ვაჭრები ყიდულობენ, ხოლო ბუნებრივი მემკვიდრე მათი —სოფლის მეურნე—განზე რჩება, რადგანაც შეძლება არა აქვს უკრედიტოდ მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში.

ამგვარად თავის თავად იბადება საკითხი: ნუ-თუ საჭირო არ არის, ჩვენშიაც გაიხსნას საგლეხო სახელმწიფო ბანკი? ამ საკითხის პასუხი, დღევანდელ გარემოებათა მიხედვით, მხოლოდ ერთია: აუცილებლად საჭიროა, ჩვენშიაც დაარსდეს ამ ბანკის განყოფილება, რადგანაც საჭირო ხდება ნორმალურად სწარმოებდეს დაგირავებულ მამულების მობილიზაცია.

ფელეტონი

უცხოეთის წვრილმანი

ივნისის თვეში პარიზს ესტუმრა მადაგასკარის დედოფალი რანავალო. ეს დაპყრობილის ქვეყნის დედოფალია, ტახტიდან ჩამოგდებული ძალ-მომრეობით გამარჯვებულის ქვეყნისაგან. ფრანგული გაზეთი „Temps“-ი დიდის სიმპატიით იხსენიებს მადაგასკარის ხალხს. ეს ერიო, ამბობს გაზეთი, დიდად ნიჭიერია და ყველა ჩვენის კოლონიის წარმომადგენლებზე უფრო ადვილად ითვისებენ ევროპის ცივილიზაციას. ეგ ერი მალაიის რასის არის და ამ გვარად იაპონელთ ენათესავებაო. გაზეთი იხსენიებს საფრანგეთის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობის ხანას. იმ დროში ორი საგანი გვქონდა განსახილველად: ან მშვიდი პროტექტორატი დაგვეარსებინა მადაგასკარში, იმ გვარი პროტექტორატი, რომლის ყოვლად უებრო სარგებლობა ტუნისში გამოვსცადეთ, ან და სამხედრო წყობილება, რომელიც სხვა ჩვენ კოლონიებში გამოვსცადეთო. ჩვენო, განაგრძობს გაზეთი, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვიცავდით მშვიდ პროტექტორატს და მისი გულითადი მომხრე ვიყავით, მაგრამ არ დაგვიჯერეს. ხუთი წელიწადი გავიდა მას აქეთ და ყველამ ნახა, თუ რამდენი ზარალი მოუვიდა ყველას იმით, რომ იქ სამხედრო წყობილება დავაარსეთო. ყოველ ქვეყანა სგანაგებს მმართველი კლასი. და ჩვენ კი ქვეყანას მოვუსპეთ მმართველი კლასი. ყოველ ქვეყანაში სწავლობენ მისთვის, რომ გამოიყენონ თავისი ცოდნა, ჩვენ განვდევნეთ ადგილობრივი მკვიდრნი ყოველი ადგილიდან და ახლოს არ მივაკარეთ უმაღლესის მოხელეების ადგილები. ჩვენ გვეგონა, რომ ყოველივე, რაც დაამხობდა მადაგასკარელთ, ჩვენ გაგვაკეთებდა და ამის მიზეზით სისტემატიურად განვაძევეთ იგინი პროვინციებიდან. ბოლოს კი შევიგნეთ, რომ გონიერებაზე უკეთესი არაფერია ერთად შრომისათვის და ფულებიც ვაძლიეთ—იქნებ დაბრუნდნენო. ადგილობრივ მკვიდრს დავუკარგეთ ავტონომია. მათზე რომ პროტექტორატი დაგვეწესებინა, ისინიც ისე მართავდნენ თავიანთ საქმეებს, როგორც ტუნისელები. ეხლა რომ რამე კანონის გადაკეთება იქმნეს საჭირო ამ ქვეყნისათვის, პარიზში უნდა გადასწყდეს ეს საქმე, ე. ი. დაუსრულებელ და მტანჯველ თრევაში უნდა იქმნეს კანცელარიიდან კანცელარიაში. რა მოიგო ამით მეტროპოლიამ (საფრანგეთმა). ქვეყნის მართვა საშინლად ძვირად უჯდება. წელიწადში 30 მილიონს იღებს თავისის საკუთარი წყაროდან საფრანგეთი, რომ იქაური ადმინისტრაცია ჰკვებოს. ქვეყანა თუ ხეირიანად წაგვემართა, სარგებლობას მოგვცემდა ეკონომიურადაც, დღეს კი ეკონომიურად დავსცით და გავანადგურეთ. ყველა ეს საჭიროა გავიხსენოთო, ათავებს გაზეთი, და დედოფალ რანავალოს აქ ყოფნით ვისარგებლოთ, ჩვენის ქცევის შესაცვლელადო. საჭიროა, ამ ქვეყანას მივსცეთ ისეთი თვით-მმართველობა, რომელიც ქვეყნისათვის წყლის მომწყვეტი და საზარალო არ იქმნესო.

—

დიდი ხანია, რაც მთელის ქვეყნის ყურადღებას იპყრობს ის, რომ საფრანგეთში მცხოვრებთა რიცხვი ძალიან ცოტას მატულობს, ანა და სულაც აღარ მატულობს. საფრანგეთის ჟურნალ გაზეთობას კი თავს ზარსა სცემს ეს ამბავი.

როგორც წრევანდელის აღწერილობიდან სჩანს, 24 მარტს 1901 წლისა მთლად მთელს საფრანგეთში ითვლებოდა თითქმის 38,600,000 მცხოვრები. ამ რიცხვის მიხედვით, მცხოვრებთა რიცხვს უკლია ყველა დეპარტამენტში, გარდა იმ დეპარტამენტებისა, საცა დიდი ქალაქია.

საფრანგეთში, სენის დეპარტამენტის გარდა, წრეულს ირიცხება თითქმის 35 მილიონი მცხოვრები. 1896 წლის აღწერასთან შედარებით, მცხოვრებთა რიცხვს მეტად ცოტა მოუმატია—39,000 სულით. სენის დეპარტამენტის მცხოვრებთა რიცხვს მოუმატნია 292,000 მცხოვრები,—მაგრამ ეს გამოფენას უნდა მიეწეროს, რადგან 1878 და 1889 წლის აღწერილობამაც დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ამ დროში მცხოვრებთა რიცხვი მატულობს, რადგან დიდ-ძალი ხალხი ჩამოდის პარიზში უცხო ქვეყნებიდან. ასე რომ მცხოვრებთა რიცხვს თითქო 330,000 კაცით უმატია, მაგრამ ეს უცხოელების შემოხიზნების მიზეზია, რო-

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1510

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე უყურებს საქმეს რუსი პუბლიცისტი ბ. ომიც, რომელმაც ცალკე წერილი უძღვნა ამ საკითხს ჟურნალ „კავკ. ვესტნიკ“-ში. ბ. ომი იმ აზრისაა, რომ დადგა დრო ამიერ-კავკასიაშიაც გავრცელდეს საგლეხო ბანკის მოქმედება, რომელმაც კეთილი შედეგი მოუტანა შიდა რუსეთის და პოლონეთის გლეხობასაო. ამასვე კარგა ხანია ამბობდა ქართული პრესსაც, მაგრამ იყო და ეხლაც არსებობს ერთი გარემოება, რომელიც ბევრს აშინებს და აფიქრებს. ეს გარემოება, რომელსაც ბ. ომიც შეეხო, შემდეგია:

როგორც მკითხველებმა იციან, უკვე კარგა ხანია ადგილობრივი მთავრობა მოწადინებულია გააცხოველოს ამიერ კავკასიაში რუსეთიდან გადმოსახლების საქმე. რადგანაც ამ საქმეს, სხვათა შორის, გადმოსახლებულ გლეხების ხელმოკლეობაც აბრკოლებდა, ამიტომ ერთ დროს დაიბადა აზრი დაუკავშირონ ერთმანერთს საგლეხო ბანკის მოღვაწეობა გადმოსახლების საქმეს. ჰფიქრობდნენ, რომ საგლეხო ბანკს შეუძლია შეიძინოს სახელმწიფო ბანკში დაგირავებულ-დარჩენილი ადგილები და მიჰყიდოს ისინი რუსეთიდან მომავალ გლეხთ. რასაკვირველია, ამ გვარი როლი თუ დააკისრეს საგლეხო ბანკის აქაურს განყოფილებას, მას აღარ ექნება ჩვენთვის ის სასარგებლო მნიშვნელობა, რომელიც შიდა რუსეთისა და პოლონეთისათვის აქვს. პირიქით, თუ გავიხსენებთ რა გვარად შევიწროვებულია ჩვენებური გლეხობა უმიწა-წყლოთ, საგლეხო ბანკის მოქმედების ზემოხსენებული მიმართულება უარეს ყოფაში ჩააყენებს ადგილობრივ მკვიდრთ. ამიტომ სრულს ჭეშმარიტებას აღიარებს ბ. ომი, როდესაც ამბობს, რომ გადმოსახლების საქმე ისედაც კარგად წავაო, ხოლო საგლეხო ბანკი აუცილებლად საჭიროა ამიერ კავკასიის გლეხობისათვისო. გარდა იმისა, რომ ბანკი შევიწროებულ გლეხთ მიწა-წყალს შეაძენინებსო, იგი დააჩქარებს დროებით ვალდებულთა გლეხთა მიერ ნადელების გამოსყიდვის საქმესაო.

გადმოსახლების საქმის შესახებ არა ერთხელ აღძრულა ლაპარაკი ადგილობრივ და რუსეთის პრესსაშიაც. გარდა თითო-ოროლა უგზო-უკვლო „პატრიოტ“-ისა, რომელთაც უმთავრესი ბუდე „ნოვოე ვრემია“-ში აქვთ გაჩენილი, ყველა დარწმუნებულია, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები ისე მჭიდროდ არიან დასახლებულნი და ადგილობრივი მცხოვრებნიც იმდენად არიან შევიწროებულნი უმიწა-წყლოდ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ გუბერნიებში გაცხოველდეს გადმოსახლების საქმე. ეს ნამდვილი კანცელიარული უტოპია არის და კარგად გაგებული სახელმწიფო ინტერესი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება ამ გვარის მიმართულებისა. სახელმწიფო ინტერესი, პირიქით, თხოულობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ გაუადვილდეს ეკონომიური ბრძოლა, რათა უფრო განვითარდეს მოქალაქობრივი ცხოვრება და გაძლიერდეს საიმედო ელემენტი შორეულს განაპირა ქვეყანაში.

ეს კარგად აქვთ შეგნებული ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეებს და ისინი ყურს არ ათხოვებენ ისეთ მყვირალა და გზა დაბნეულ „პატრიოტ“-ებს, როგორც, მაგალითად, „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის ხელმძღვანელები არიან ჩვენში, რომელნიც წამ-დაუწუმ გადმოსახლებაზე ჰყვირიან და მაცდურად, განგებ გვერდს უხვევენ ქვეყნის ნამდვილს საჭიროებას. ამიტომაც, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილების საქმეც, რომლის დაარსების შესახებ ახლახან ლაპარაკია მთავრობის წრეებში, არ მიიღებს ისეთს ცალ-მხრივს მიმართულებას, როგორიც სწადიან სუვორინებს, პალმებს და tutti quanti.

დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

სამტრედია, 9 ივლისი.

გუშინდელ დიდის წვიმების გამო ქვემო იმერეთში საშინელი წყალ-დიდობაა. ეზოები წყლით აივსო, სიმინდის ყანები წალეკილია. დაილუპა დიდ ძალი წვრილი საქონელი და შინაური ფრინველი. გზები შეკრულია. ზარალი დიდია.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. ეროვნულმა დღესასწაულმა 14 ივლისს (ახ. სტ.) მშვიდობიანად ჩაიარა. საზოგადო შენობები და ბევრი კერძო სახლი დროშებით იყო მორთული. მრავალმა დელეგაციამ, მათ შორის პარიზის სამოქალაქო საბჭოსა, პატრიოტთა კავშირის და სხვ. დელეგაციებმა ქალაქ სტრასბურგის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს. პატრიოტების კავშირმა დერულედისა და გაბერის სახელით გვირგვინი მიიტანა და მანიფესტანტებმა იყვირეს ყვირილი: «დერულედს გაუმარჯოსო»! პოლიციამ მანიფესტანტები გაჰფანტა. არავითარი საყურადღებო უწესოება არ მომხდარა. ნაშუადღევის 2 1/2 საათზე რესპუბლიკის პრეზიდენტი ელისეის სასახლიდან ლონშანში წავიდა, სადაც ჯარის პარადი უნდა მომხდარიყო. ხალხი მხურვალე აღტაცებით მიეგება ლუბეს. პარადმა ისე მშვენიერად ჩაიარა, რომ უკეთესად აღარ შეიძლებოდა. ღამე ჭექა-ქუხილი იყო და დიდი ღვარიც მოვიდა, ჰაერი გაგრილდა და ამიტომ ჯარი შარშანდელივით სიცხისაგან არ შეწუხებულა. პრეზიდენტი თავის პავილიონში იჯდა, მინისტრები და რუსეთისა და გერმანიის ელჩი გარს ეხვივნენ. სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე მაროკკოს ელჩებიც თავიანთ თეთრი ბურნუსებით. ბულონის ტყეში, ავენიუზე და ელისეის ველზე ჩვეულებრივ დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი და რესპუბლიკის პრეზიდენტს ელოდებოდა. ლუბემ ღია ეტლით გამოიარა, ორი ესკადრონი კირასირი ახლდა, გალიფე-რუსსოც თან მოსდევდა. ხალხი თანაგრძნობით ეგებებოდა. პალატის პრეზიდენტს დეშანელსაც სალამს აძლევდნენ და, როგორც ყოველთვის, ხალხი ბევრსა ყვიროდა: «ჯარს გაუმარჯოსო». ყველაზე დიდის აღტაცებით ხალხი ველოსიპედისტების როტას მიეგება. პარიზის ქუჩებში სახალხო სეირნობა და გართობა იყო გამართული. საღამოთი. მოედნებსა და ქუჩებში ცეკვა-თამაში გაიმართა.

✿ «მატენ»-ს იმ კონგრეგაციების სია მოჰყავს, რომლებმაც მთავრობას უკვე სთხოვეს, რომ საფრანგეთში დაბინავების ნება მოგვეცით. ექვს დომინიკელების კონგრეგაციას უთხოვნია, ერთს ურსულინებისას და ერთს კარმელიტებისას, ამბობენ, რომ ლაზარისტებს, სულპიციელებს; სული წმინდის მამებს და ეგრედ წოდებულ «თეთრი მამებს,» რომლებიც უმთავრესად მისიონერულ მოქმედებას მისდევენ აფრიკაში, ეგრეთვე გადაწყვეტილი აქვთ ნებართვა ითხოვონ. პირიქით, იეზუიტებს, ფრანცისკელებს, ასუმციონისტებს და რედემპტორისტებს გადაწყვეტილი აქვთ მთავრობას არა სთხოვონ ნებართვაო.

✿ როგორც უკვე ვიცით, ვალდეკ-რუსსომ სენატორს უპასუხა, რომ უკანასკნელს ხუთი წლის განმავლობაში საფრანგეთის მოსახლეობას 412,364 კაცი მოემატაო. ეხლა სტატისტიკი ბერტილიონი «ტან»-ში დაბეჭდილ წერილში ამტკიცებს, რომ ეს მეტი 412,000 კაცი სულაც არა ჰმოწმობს მოსახლეების ბუნებრივ მომატებასაო, რადგანაც ეს მეტი ხალხი სულ უცხოეთიდანაა გადმოსულიო. საფრანგეთის მოსახლეობა 382 მილიონზე დადგა და ამ უკანასკნელ წლებში წინ აღარ მიდის. ამავე დროს კი გერმანიის მოსახლეობას—7 მილიონი მოემატა, ავსტრიასა და დიდ-ბრიტანიას 4 მილიონი თითო; და შეერთებულს შტატებს—13 მილიონით.

ინგლისი. ლიბერალ-იმპერიალისტებს, როგორც ერთი მათი გაზეთი აცხადებს,—დღეიდან არავითარი იმედი აღარ აქვთ ლორდ როზბერისა, რადგანაც როზბერიმ უარი უთხრათ და ასკიტის პატივსაცემად გამართულს ნადიმზე თავმჯდომარეობა არ იკისრაო. იმასაც კი უსაყვედურებენ როზბერის, რომ თავის მეგობრები მოატყუაო. ამავე დროს ლონდონის პოლიტიკური წრეები ამტკიცებენ, რომ თუმცა კემპბელ-ბანერმანს ნდობა გამოუცხადეს, მით მაინც ლიბერალთა შორის თანხმობის ჩამოგდება ყოვლად შეუძლებელიაო. ლიბერალ-იმპერიალისტების ნაწილს ჰსურს, რომ მეთაურად ჩემბერლენი აირჩიონ. ცნობილია, რომ ჩემბერლენი მოწადინებულია ინგლისის პირველ-მინისტრის ადგილი ჩაიგდოს ხელში. ისიც მართალია, რომ მის წადილს კონსერვატორების პარტიის უფროს წევრთაგანი ბევრი მედგრად ეწინააღმდეგება. მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ პროგრესისტ-უნიონისტების და ლიბერალ-იმპერიალისტების კავშირმა მხარი მისცეს და გაამარჯვებინოს ჩემბერლენს. თვით ლორდ სოლსბერიც ქედს იხრის მისი პოლიტიკური ნიჭის წინ და საკანგებო დეპეშით მადლობა გადაუხადა გილდჰოლლის კრებისათვის, სადაც, როგორც ვიცით, მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადეს.

«ინდეპანდანს ბელჟ»-ი, თავის მხრივ, იუწყება, რომ ლიბერალ-იმპერიალისტებმა აშკარად ბრძოლის მხარე დაიჭირეს კემპბელ-ბანერმანის წინააღმდეგაო, როცა პალატაში ამნისტიაზე და ბურების რესპუბლიკების თვით-მმართველობაზე კამათი იყო გამართულიო.

✿ ამას წინად ლორდ სოლსბერიმ სიტყვა წარმოსთქვა ლონდონში და ჩივილით განაცხადა, რომ ეხლანდელი ოპოზიცია მეტად უძლურია, თითქმის ყველაფერში მთავრობას ემხრობა და ამიტომ ინგლისის პარლამენტის მუშაობა და კონსტიტუციის მოქმედება წინანდებურად წესიერად ვეღარ სწარმოებსო.

ამის თაობაზე გამოჩენილ ლიბერალ მოღვაწეს ვილიამ გარკორტს სიტყვა წარმოუთქვამს: «მთავრობა სჩივის,—უთქვამს გარკორტს,—რომ ოპოზიცია სუსტია, მაგრამ ნამდვილად კი რა წამს ხმას ამოვიღებთ, მაშინვე გვიყვირიან: «გაჩუმდით, უბედურებო! განა ვერ ჰხედავთ, რომ ჩვენს მტრებს აქეზებთ და ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად ამხნევებთ?» მთავრობა ეუბნება ჩვენს ჯარს, რომ მეტის-მეტად ადამიანურად და რბილად ექცევით მტერსაო. ასეთი ლაპარაკი არ ეკადრება დიდ-ბრიტანიის მინისტრსაო»,

✿ «ინვესტრი რევიუ»-ში დაბეჭდილ წერილში ვილსონი ამტკიცებს, რომ სამხრეთ-აფრიკის ომმა 12 მილიარდი ზარალი მისცა ინგლისსაო. ინგლისსაც, ვილსონის აზრით, აუცილებლად ფინანსიური კრიზისი მოელისო.

✿ «დეილი მეილ» და სხვა გაზეთები ამტკიცებენ, რომ ინგლისის ჯარი სამხრეთ-აფრიკაკი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. «დეილი მეილ» აცხადებს, რომ მთავრობა ნიადაგ ჰმალავს სამხრეთ-აფრიკიდან მოსულს ამბებსაო, რადგანაც საქმის ვითარება ამ ქვეყანაში შეუდარებლად უფრო ცუდია, ვიდრე ჩვენი მთავრობა გვიხატავსო. ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ ბურები აქამდეც აგროვებდნენ და ეხლაც დიდ ძალ ჯარისკაცს აგროვებენ კაპის ახალშენშიო. ამ ჯარისკაცთა რიცხვი 9000-მდე ადისო,—ამბობენ ზოგნი,—და იქნება 15,000-მდეცაო, როგორც სხვები იუწყებიან. ომი მხოლოდ მაშინ გათავდება,—ამბობს გაზეთი,—როცა ბოტასა და დევეტს ტყვედ დაიჭერენო. მაგრამ ჩვენი მთავრობა, როგორც სჩანს, სულაც არა ცდილობს, რომ ეს საქმე დაამთავროსო.

სამხრეთ-აფრიკა. ინგლისურ გაზეთებში ცხარე პოლემიკაა ატეხილი იმის თაობაზე, ვითომც ბურებს ფლაკფონტეინთან ბრძოლის დროს დაჭრილი ინგლისელი ჯარის კაცები თოფით დაეხვრიტოთ. კაპიტანმა სულეიმ, რომელიც სამხრეთ აფრიკაში 17 თვეს მსახურებდა, «ტაიმს»-ში წერილი დაბეჭდა და ამტკიცებს,

---

გორც ამბობენ ფრანგელი სტატისტიკოსები.

სამწუხარო მოვლენა უფრო ნათლად სჩანს, თუ სხვა ქვეყნების სტატისტიკას შევადარებთ ამავე დროში (ე. ი. 1896 წლიდან 1901 წლ.), გერმანიის მცხოვრებს მოუმატნია 4.065.113 სული ე. ი. ამ ხანში გერმანიას იმდენი მცხოვრები მომატებია, რამდენიც ირიცხება საფრანგეთის თერთმეტ საუკეთესო დეპარტამენტში, შამპანიის, ბურგონის და ფრანშ კონცეს დეპარტამენტებში.

საზოგადოდ ევროპის სახელმწიფოთა მცხოვრებთა რიცხვი ჩვენს საუკუნეში უფრო მატულობს (საფრანგეთს გარდა), ვიდრე სხვა დროებში. აი ცხრილი, იმის მაჩვენებელი, თუ XIX საუკუნის მეორე ნახევარში როგორ იზრდებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მცხოვრებთა რიცხვი.

	რიცხვი მცხოვრებთა		მოუმატნია
	1850 წ.	1900 წ.	
საფრანგეთი (დღევან. საზღვრები)	35.260,000	38.600,000	3.340,000
ბრიტანიის კუნძულები	27.369,000	41.484,219	14.115,000
გერმანია (დღევან. საზღვ.)	35.397,000	56.345,014	20.948,000
ავსტრ.-უნგრ. (დღევან. საზ.)	30.727 000	45.107,304	14.380,000
რუსეთი (ფინლიანდიით)	66.714,000	128.896,628	62.183,000
იტალია (დღევანდელი საზღვრები)	23.617,000	32.449,754	8.833.000

ასე რომ 1850 წ. საფრანგეთის მცხოვრებთ რიცხვით მარტო რუსეთი სჯობნიდა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფო კი—ვერც ერთი. და ამ ხნის შემდეგ კი საფრანგეთს სამი მილიონი მცხოვრებით უმატნია, და ისიც მილიონზედ მეტი უცხოელ შემოხიზნულთა რიცხვია, ასე, რომ ნახევარ საუკუნეში საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვს თითქმის სულაც არ მოუმატნია მაშინ, როცა გერმანიას მოემატა 21 მილიონი სული და ინგლისსა და ავსტრ-უნგრეთს თოთხმეტ-თოთხმეტი მილიონი. საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში საფრანგეთი მეორე სახელმწიფო იყო მცხოვრებთა რიცხვით, დღეს თითქმის უკანასკნელია და ცოტა უკლია იტალიაც არ მოეწიოს. უფრო დაწვრილებით თუ განვიხილავთ სხვადა-სხვა ქვეყნის სტატისტიკას, დავინახავთ, რომ ათას კაცზე მატულობს ათ წელიწადში.

	1851—61	1861—71	1871—81	1881—91	1891 1900
საფრ.	26	6	36	19	12
ბრ. კუნ.	57	88	108	82	100
გერმან.	66	81	108	93	140
ავს.უნ.	59	95	50	92	91
იტალ.	46	71	62	73	73

ყველა ხედავსო, ამბობს ბერტილიონი, რომლის წერილიდან არის ამოღებული ეს ცნობები, რომ უკანასკნელ ხანებში თან და თან შეუდარებლად მატულობს მცხოვრებთა რიცხვიო, მხოლოდ საფრანგეთი ჩამორჩა ყველა ქვეყანასაო. მართალია, ბევრი იმით ინუგეშებს თავს, რომ ცივილიზაცია მტერია ხალხის გამრავლებისა და ამიტომ საფრანგეთის ბედი კიდევაც ახარებდეთო, მაგრამ ზემო-მოყვანილი ცხრილი გვაჩვენებს სრულიად წინააღმდეგსაო. ძნელი სათქმელია, რის მაჩვენებელია ეს ცხრილი. ამ ცხრილიდან ათას-გვარი დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, მაგრამ საშიშარი მაინც და მაინც არა სჭირს-რა საფრანგეთს. აბსოლიუტურად მცხოვრებთა რიცხვი მატულობს, იგი კლებულობს სხვა წლებთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც ძალა-უნებურად დაუდგებათ იგივე დღე. დაუსრულებელი ზრდა მცხოვრებთა ყოვლად შეუძლებელია.

K.

ბიბლიოთეკა

რომ ბურები კაცთ-მოყვარულად ექცევიან დაჭრილ ინგლისელ ჯარის-კაცებსო და ცნობები იმათ უღივრობაზე და სასტიკობაზე ცოცხალი ტყუილიაო. ავტორი, რომელსაც ვერავინ დასწამებს, რომ ბურებს უდგებოდეს, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: «ორჯელ რამდენიმე ჩემი ხელ-ქვეითი ჯარის-კაცი, მძიმედ დაჭრილი, ბურებს ჩაუვარდნენ ხელში. ამ დაჭრილებს დიდად უფრთხილდებოდნენ თურმე ბურები და კარგად უვლიდნენ. შემდეგ ჩემი ჯარის-კაცები თითონ მთხოვდნენ მადლობა გადამეხადა იმ ბურებისათვის, რომლებსაც წაეყვანათ და ასეთის ყურადღებით მოევლოთ. ჩვენი რაზმის უფროსმა გენერალმა ორჯელვე წერილით თუ სიტყვიერად მადლობა გადაუხადა ბურებს ჩვენის დაჭრილი ჯარის-კაცების მოვლისა და გაფრთხილებისათვის.

ამას გარდა, ბევრი ოფიცერი შემხვდა, რომლებიც ან ავადმყოფი ან დაჭრილი ბურებს ჩავარდნოდნენ ხელში და არასოდეს არ გამიგია, რომ გულ-წრფელის მადლობისა გარდა, სხვა რამ ეთქვასთ ბურებზე. ბრძოლით აღელვებულს და შეტაკების დროს გაფიცხებულს, რასაკვირველია, გაუძნელდება, რომ დაჭრილი იცნას და შესაძლებელია, რომ შეცდომით დაჭრილსაც ესროლოს, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თუ დაჭრილი ინგლისელი ბურებმა ხელში ჩაიგდეს, ისევე მოუვლიან და გაუფრთხილდებიან, როგორც ინგლისელები თავიანთ ტყვე ბურებს უფრთხილდებიანო».

გაზეთების გავრცელებული პოლემიკა ბოლოს ასე გათავდა: ლორდ-კიტჩენერმა, პირდაპირ, როგორც ნამდვილ მეომარს შეჰფერის, გამოაცხადა, რომ ყურადღებას ღირსად არა ვსთვლი მაგ ცნობებსაო და, რასაკვირველია, მთავარ-სარდლის სიტყვას ყველა დაიჯერებს.

ესპანია. მადრიდიდან იწერებიან, რომ ესპანიის მთავრობამ საჭიროდ სცნო ხელ-შეკრულობა რომის პაპთან ხელ-ახლად გასინჯოს და შესცვალოს. პაპი პრინციპიალურად წინააღმდეგი არაა ამ გადათვალიერებისა, მაგრამ, როგორც ამბობენ, პაპის ისა სწყენია, რომ ესპანიის მთავრობამ, ვიდრე ამ განზრახვას პარლამენტს შეატყობინებდა, რატომ არაფერი არ აცნობა პაპის მთავრობასაო.

ჩინეთი. ელჩების უბანი პეკინში, როგორც უკვე ვიცით, ნამდვილ ციხე-სიმაგრედ უნდა გადაიქცეს და იქ ნადგ მეციხოვნე ჯარი უნდა იდგესო. ელჩებმა გადასწყვიტეს, რომ ეს უბანი მხოლოდ საელჩოებს უნდა დაეთმოს და ამას იქით ამ ადგილზე დასახლების ნება არავის არ უნდა ჰქონდესო.

«ნორდ მანა დეილ ნიუს»-ი პროტესტს აცხადებს ამისთანა გადაწყვეტილების წინააღმდეგ. გაზეთი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ჩინეთის დედა-ქალაქის შუა გულში უცხოელების მიერ ციხე-სიმაგრის აშენება დიდად საწყენია ჩინეთის მთავრობისათვისაო.

✿ შანხაიდან იწერებიან: იმპერატორმა უბძანა ჩინეთის საზღვარ-გარეთ მყოფ ელჩებს, რომ დაგვისახელეთ ყველა ის ახალგაზრდა ჩინელი, რომლებიც ამ ჟამად საზღვარ გარეთ იმყოფებიანო. ეს ახალგაზრდა ჩინელები ჩინეთის მთავრობის ხარჯით სამშობლოში დაბრუნდებიან და სხვა და სხვა სახელმწიფო თანამდებობაზე დაინიშნებიანო.

ახალი ამბავი

✦ ბათუმიდან გვწერენ: „აქ ჩამოვიდა ქუთაისის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი ბ-ნი ბიბიკოვი, გამოგზავნილი ქუთაისის გუბერნატორისაგან გამოსაძიებლად იმ ამბავისა, რომელიც მოხდა ჩვენს საბჭოში 25 ივნისს. ეკითხება ყველა ხმოსნებს საქმის გარემოება და ამათ გარდა ზოგიერთ გარეშე პირთაც, რომელნიც ჰყავდა დასახელებული, როგორც ამბობენ, თვით ივანოვს. ბ-ნმა ბიბიკოვმა ორი დღე დაჰყო აქ. საქმე გადაცემულია გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოში, რომელსაც სხდომა ექმნება ივლისის 9-ს“.

✦ ტფ. მე-10 საპოლიციო ნაწილში განუცხადებიათ საჩივარი იარალოვის ქარხნის ხელოსნებს. მათის სიტყვით, ქარხნის პატრონი უჭერდა მათ სამუშაო ფასის ნაწილს გირაოდ იმ შემთხვევისათვის, თუ ხელოსნები გააფუჭებდნენ ქარხნის იარაღ-მანქანებს. რადგანაც ეს ხელოსნები იარალოვს დაუთხოვნია, ისინი თხოულობენ დაჭერილ ფულის დაბრუნებას.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ მეტად შევიწროებულნი არიან ზოგიერთი მთხოვნელნი, რომელთაც ქალაქის გამგეობაში აქვთ საქმე. უფრო საყურადღებო საქმე—ქაღალდების გასარჩევად და ხელმოსაწერად ქალაქის თავს ეგზავნება ბორჯომში, რაზედაც დრო იხარჯება და საქმე ბრკოლდება. ნუ-თუ არ შეიძლება, ქალაქის თავის მოვალეობა დროებით დაეკისროს გამგეობის რომელსამე წევრს?!

✦ კავკასიის გამოფენის შენობათა აგება სწრაფად მიდის წინ; სახურავის კეთება და იატაკის ასფალტით მოსხმა დამთავრდა. 15 ივლისიდან აპირებენ კიდეც შეუდგნენ ექსპონატების დალაგებ-დანაწილებას.

✦ განჯის გუბერნატორი ატყობინებს კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს, რომ გუბერნიიდან, თანახმად კომიტეტის სურვილისა, გამოგზავნილ იქნებიან გამოფენაზე საუკეთესო ტიპიური წარმომადგენელნი სხვა და სხვა ტომის ხალხებისა მათ ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილნი და აგრეთვე მცოდნენი ხალხურის სიმღერა ცეკვა თამაშისა; მხოლოდ, რადგანაც მათ გამოსაგზავნად ხარჯია საჭირო, ამიტომ კარგი იქნება კომიტეტმა იმ 200 მან. გარდა, რომელიც მივიღეთ, კიდევ გამოგვიგზავნოს 500 მანეთიო.

✦ მრავალ კერძო პირთა გარდა, ამ დღეებში გამოფენის გამგე-კომიტეტს მოუვიდა განცხადებანი გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ შემდეგ დაწესებულებათაგან: ზაქათალის ქალაქის სასწავლებლისაგან, ლეჩხუმის პირველ დაწყებითი სასწავლებლისაგან, თავ. ერმილე კაციას ძე ნაკაშიძისაგან, დიდი მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის კავკასიის მამულის რწმუნებულისაგან, რომელიც თხოულობს ადგილს გამოფენის I-სა, II-სა და მ-XIII განყოფილებებში სხვა და სხვა სამეურნეო დარგთა ნაწარმოებების გამოსაფენად; ახალქალაქის ქალაქის სამრევლო ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველისაგან და სხვ.

✦ ახალციხის მაზრის გლეხთ, რომელნიც ტყის ვაჭრობა-მრეწველობას მისდევენ, შუამდგომლობა აღუძრავთ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ შეღავათი მიეცეს მათ სახაზინო ტყეებიდან მასალის შეძენის დროს. უწინ მათ ნაწილ-ნაწილ ახდევინებდნენ ფულს და ამით უადვილებდნენ მასალის შეძენას, ხოლო ეს წეს-რიგი ეხლა მოისპო და გლეხ-მრეწველთ, კრედიტის უქონლობის გამო, გაუძნელდათ საქმის გაგრძელება.

✦ სახალხო სახლის კომისიამ მიანდო ინჟინერ შიმკევიჩს სახალხო სახლის სრულის გეგმის შედგენა, თანახმად წინად შედგენილის ესკიზისა. პროექტი მზად უნდა იქმნეს 11 ივლისისათვის, როცა კომისიას სხდომა ექნება. სახლი უნდა დაჯდეს, როგორც გამოანგარიშებულია, 70.000 მ.

✦ 7 ივლისს ბარონ-კუჩენბახის მინის ქარხნის ახლო (ეკატერინენფელდი) თოფის სროლა ჰქონდათ ჩოლახ-ბალის ავაზაკთა ბრბოს და საერობო დარაჯებს. სროლის დროს ჩოლახ-ბალი მოჰკლეს და დანარჩენები გაიქცნენ.

✦ მიწად მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტი ბ. ეფიმოვი ჩამოვიდა პეტერბურგიდან და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

✦ სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ იმ ქალაქებში, სადაც არ არსებობს ამ ბანკის განყოფილება, ხაზინა მიიღებს მსურველთაგან ფულს მიმდინარე ანგარიშზე.

✦ უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს, რომ 1903 წლის 18 დეკემბრამდე საზღვარგარეთიდან უბაჟოდ იქმნას შემოტანილი სხვა და სხვა მასალა და იარაღი, რომელიც იხმარება მეურნეობის მავნე მწერ და ცხოველთა ამოსაწყვეტად.

✦ გზათა მინისტრის განკარგულებით, 24 აგვისტოსთვის ტფილისში დანიშნულია ტელეგრაფის სპეციალისტ მოხელეთა კრება, რომელზედაც განიხილება 40-მდე საკითხი.

✦ თელავის ქალაქის მოურავს, როგორც გადმოგვცეს, განუზრახავს აღძრას კითხვა თელავში საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ მოსწავლეთა ექსკურსიების კომისიამ გადასწყვიტა განაგრძოს ექსკურსიები 20 აგვისტომდე. ამ თვეში მოსწავლეებს წაიყვანებენ მანგლისში, ბორჯომში და ალავერდის სპილენძის ქარხნის სანახავად.

✦ 8 ივლისს ტეხნიკურ სასწავლებლის ინსპექტორმა ა. ს. ბაბოვმა წაიყვანა უფროსი კლასის შეგირდები ავჭალაში წყლის მილის მოწყობილების დასათვალიერებლად.

✦ ტფილისის ქალაქის სკოლების კომისიის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ხსენებულ სკოლების სამეურნეო ნაწილის გამგეს—მონახოს 5-ის სკოლისათვის ახალი სადგომები, რადგანაც ეხლანდელები არ ვარგანან. სახლის დაქირავების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ეზოებსაც.

✦ შაბათს, 7 ივლისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა ქალაქის საყასბოს გადიდების სამუშაოსი. საზოგადო ვაჭრობაში მონაწილეობა რამდენმამე პირმა მიიღო, მაგრამ საქმე დარჩა დიმიტრი ჩიჯავაძეს 7879 მანეთში.

✦ ოთხშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 8 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება საბჭოს კომისიას ქალაქში ხორცზე და პურზე ახალის ნიხრის დაწესების გამო

✦ პირველ მრსოლელ ბატალიონის უფროსმა სთხოვა ქალქის თავს დაუთმონ მას უფასოდ 300 ნერგი ქალაქის სანერგედან ხსენებულ ბატალიონის სახლის ირგვლივ დასარგავად.

✦ ტფილისის მესამე გიმნაზიის დირექტორი შუამდგომლობს გიმნაზიასთან არსებულ პანსიონის გადიდებაზე და საპანსიონო ხარჯის მომატებაზე. გიმნაზიის ადმინისტრაცია ეძებს ახალს სადგომს სოლოლაკში.

✦ ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველომ გადასწყვიტა გადაიხადოს 169.000 მანეთი ახლად შეძენილის სახლის ვალისა. დანარჩენ 40.000 მანეთს გადიხდიან ვალის გასტუმრების ვადამდე

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში, ღამით ვიღაცამ ფანჯარიდან გაისროლა რევოლვერი; ტყვია საფეთქელში მოხვდა ივანე გრიგოლის ძეს სუკიანინს, რომელიც ამ დროს თავის მამასთან გრიგოლთან ერთად მიდიოდა თურმე ქუჩაში; დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს; ბოროტ განზრახვაზე დაშავებულის მამამ ეჭვი განაცხადა სახლების შენების მოიჯარადრე ტფილისის მცხოვრებ დიმიტრი შავერდაშვილზე, რომელსაც რაღაც საიჯარო საქმეები ჰქონია სუკიანინთან; გამოძიება დაინიშნა საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად.

✦ დღე არ გადის ისე, რომ მუშტაიდში რამე სკანდალი არ მოხდეს. კვირა საღამოსაც, შუაგულ ბაღში, ასტყდა ჩხუბი და დავიდარაბა, რომელმაც მეტად დააშინა მოსეირნე საზოგადოება და ბევრი ბაღიდანაც გააქცია. ნუ-თუ არ შეიძლება სასტიკი ღონის ძიება იქმნას მიღებული ამ ერთად-ერთ რიგიან სასეირნო ბაღში წესიერების დაცვისათვის!?

✦ კვირა ღამეს ეტლი №-29 დაეჯახა სასტუმრო „ლონდონ“-ის წინ ქუჩაზე მიმავალს ტფ. მოქალაქეს მურადოვს და მძიმედ დააშავა იგი. მეეტლე შეიპყრეს, მურადოვი სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ერევნის გუბერნიის, ეჩმიაძინის მაზრის, სოფ. ადტარიკას მცხოვრებმა აკოფ ალამიანცმა განაცხადა პოლიციის მე-7 ნაწილში, რომ ვიღაც სამი უცნობი კაცი გაჰყვნენ მას მიხეილის ქუჩიდან და როდესაც მიახლოვებიან მეტეხის ქუჩის მოსახვევს, განგებ ფეხ ქვეშ ჩაუგდიათ მისთვის საფულე ქისა; როცა დახრილა ძირს მის ასაღებად, უცნობები მიცვივნულან და ჯიბიდან 150 მან. ამოურთმევიათ.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში, გენერალ სმაჩინის სახლში ვერა მელენტიევის ბინიდან ვიღაც ალექსანდრე ფილიპოვს მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები. ფილიპოვი დუშეთის მაზრის სოფ. მცხეთის მცხოვრები ყოფილა; დამნაშავე დააპატიმრეს.

რაციონალისტური მწვალებლობა (სექტანტობა) რუსეთში

(უწ. სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებიდან)

(დასასრული*)

1894 წლის 4 ივლისის კანონმა, რომლითაც შტუნდა «უფრო მავნებლად» იქმნა ცნობილი და აეკრძალა მათ სალოცავად ერთად შეკრება, იქონია მეტად კეთილი გავლენა როგორც მართლ-მადიდებლებზე, ისე მწვალებლებზედაც. პირველები გამხნევდნენ, რადგანაც დაინახეს, რომ არა თუ ეკკლესია, მთავრობაც წინააღმდეგია მწვალებლობისა, მეორენი, პასუხის გების შიშით, ნაკლების გაბედულებით იქცეოდნენ, ველარ იკრიბებოდნენ ერთად და, მაშასადამე, ხელთ აღარ ჰქონდათ პროპაგანდის უმთავრესი იარაღი. როცა მართლმადიდებლობის მტრებმა დაინახეს 1894 წლის კანონის ასეთი ზედ-გავლენა, მათ ყოველი ღონე იღონეს, რომ ამ კანონისათვის რამენაირად გვერდი აეარათ.

ჯერ საზღვარ-გარეთელ ჟურნალ „ბესედამ“ (გამოდიოდა სტოკჰოლმში ტფილისის ქალთა ინსტიტუტის ზედამხედველად ნამყოფის ელისაბედ კირხნერის რედაქტორობით; გამოცემა შემდეგ გადავიდა ლონდონში და ბოლოს ბრაილოში,—რუმინიაში—ივანე პროხანოვის რედაქტორობით), შემდეგ შტუნდის თანამგრძნობელ ინტელიგენციამ და აგრეთვე შტუნდის მეთაურებმა დაიწყეს ქადაგება მწვალებელთა შორის, რომ შტუნდისტებმა ყოველ ოფიციალურ და არა ოფიციალურ შემთხვევაში უწოდონ თავიანთ თავს ბაპტისტები, რომელთა სექტა 1879 წლის კანონით „ნება დართულია და რომელთაც უფლება აქვთ, თავისუფლად შეასრულონ თავიანთი ღვთის-მსახურების წესი და იყოლიონ მღვდლები“. თუმცა ხსენებულ კანონს სახეში აქვს გერმანელი ბაპტისტები, თუმცა იგი ეხება მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც დაიბადნენ ბაპტისტებად ან წინეთ ეკუთვნოდნენ რომელსამე არა მართლ-მადიდებელ ქრისტიანე ეკკლესიას და შემდეგ მიიღეს ბაპტისტობა, რუს-შტუნდისტებმა ისარგებლეს დამრიგებლების რჩევით და ყველგან, სადაც საჭირო იყო, თავის-თავს ბაპტისტებს ეძახოდნენ. ამმოვლენამ იჩინა თავი განსაკუთრებულის სიძლიერით სრულიად რუსეთის აღწერის დროს. უკანასკნელ დროს, როცა შტუნდისტს პასუხის გებაში მისცემენ აკრძალულ კრებების მოხდენისათვის, იგი თავს იმით იმართლებს, რომ ბაპტისტია და არა შტუნდისტი. თავის განცხადების დასამტკიცებლად მას ხელთ აქვს პასპორტი, სადაც იგი ბაპტისმის აღმსარებლად არის აღნიშნული. ამ გარემოებას ხშირად შეცდომაში შეჰყავს სასამართლოც და იგი ამართლებს დამნაშავეს. ამ გვარი შემთხვევები თვალ-საჩინოდ გამრავლდა 1897 წლიდან

ამის შემდეგ რა საკვირველია, რომ შტუნდისტებმა თავი მაღლა ასწიონ. ბევრ ადგილს ისინი თავისუფლად, საჯაროდ იკრიბებიან ლოცვისათვის; თან უმატეს პროზელიტისმს (ახალ მიმდევართა შეძენას). შტუნდისტი არ გაუშვებს შემთხვევას მართლ-მადიდებელ ეკკლესიისადმი ეჭვი არ ჩაუნერგოს გულში მართლ-მადიდებელ გლეხს; მას მეტად მოხერხებულად აქვს მოწყობილი პროპაგანდის საქმე და ჰყავს ჯამაგირიანი მისიონერები. შედეგი მათის ქადაგებისა მეტად სამწუხაროა მართლ-მადიდებლობისათვის: ხერსონის ეპისკოპოსის მოწმობით, რომელ მრევლშიაც არ გაჩნდება ორი-სამი შტუნდისტი, მრევლის მდგომარეობა უცბად იცვლება—იგი (მრე-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1516.

ვლი) ხდება ლაღი და თავმომწონე, კრიტიკულად უყურებს, რაც კი რამ არის საეკკლესიო, გულ-გრილად ეპყრობა ღვთის მსახურებას და თვით სარწმუნოებას. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ შტუნდისმი ჩნდება და ვითარდება ახალ ახალ ადგილას. შტუნდიზმის ქადაგება გაჩნდა მოსკოვშიაც, სადაც უკვე წეს-რიგზეა მოწყობილი სამლოცველო კრებები. აღსანიშნავია, რომ შტუნდის მიმდევარნი მარტო უბრალო ხელოსნები არ არიან, შტუნდს უერთდებიან „ნახევარ ინტელიგენტებიც“—რკინის გზის, ბანკების და კონტორების მოხელენი და ნოქრები. შტუნდის პროპაგანდის ხელმძღვანელი მოსკოვში იყო ერთი კარგად ნაკითხი ქალი, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა სხვა ადგილების შტუნდისტებთან და საზღვარ-გარეთელ სამისიონერო ცენტრებთან.

შტუნდამ იქონია გავლენა აგრეთვე პეტერბურგის პაშკოველებზედაც, რომელთა უმრავლესობამ უკვე მიიღო შტუნდისმი, და შეუერთდა სამხრეთ რუსეთის შტუნდისტებს.

შტუნდამ იჩინა თავი ორლოვის გუბერნიაში, რიაზანისაში, სმოლენსკისაში და 1898 წლიდან ციმბირშიაც (სამხრეთ-უსურიის და პრიმორსკის ოლქში, აგრეთვე ომსკის ეპარქიაშიაც).

ამ გვარად შტუნდას მოფენილი აქვს თავისი ბადე რუსეთის უუშორეს მხარეებშიაც. ამასთანავე იგი სცდილობს, გააერთიანოს რუსეთის მთელი მწვალებლობა. განსაკუთრებულის ენერგიით ავრცელებენ შტუნდისმს მალაკანთა შორის. მისიონერების აზრით, მალაკნობა უთუოდ შეუერთდება შტუნდას.

შტუნდა მეტად საშიშარი და მრისხანე ძალაა მითი, რომ თანამედროვე შტუნდისტის აზროვნება თან-და-თან აგრცელებს სფერას უარ-ყოფისას და ითვისებს მიმართულებას მეტად საშიშს რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ წყობილებისათვის. ნამდვილ დახასიათებას შტუნდისმისას იძლევიან ეკატერინოსლავისა და ხერსონის მისიონერები. „ეხლანდელი შტუნდისტი, ამბობს პირველი მისიონერი, ბევრს ლაპარაკობს ქრისტეს სიყვარულზე და ბევრს კითხულობს სახარებას, მაგრამ მას უყვარს ქრისტე არა როგორც მხსნელი ღმერთი, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწე; მას სახარების ქრისტე როდი უყვარს, არამედ „მისი“ ქრისტე, რომელიც შექმნა მისმა გამოხატულების ნიჭმა მატერიალურ ცხოვრების შთაბეჭდილებაზე გავლენით. შტუნდისტი ეძებს სახარებაში არა ზნეობრივ ცხოვრების წესებს, არამედ საფუძველს საზოგადოებრივ და სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების იდეალებისას“.....

განცხადება თელავის საბჭოს.

თელავის ქალაქის თვით-მმართველობის რწმუნებულთაგანმა ბ. ქრისტეფორე აბრამის ძე ზარაფიშვილმა შეიტანა თელავის საბჭოში შემდეგი განცხადება: «საქართველოს რუსეთთან შეერთების აქეთ ასის წლის შესრულების იუბილეის დღესასწაულობის გამო ვთხოვ ქალაქ თელავის საბჭოს.

„ეთხოვოს მთავრობას, რათა თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი, რომელიც არის ერთად-ერთი დედათა სასწავლებელი მთელის კახეთისა და რომელიც ინახება საქველ-მოქმედო საზოგადოების ხარჯით და კერძო პირთა შემოწირულობით, რის გამოც ხშირად უკიდურესს მდგომარეობაში ვარდება ნივთიერის მხრივ, რადგანაც ეს სასწავლებელი მოთავსებულია საქართველოს იმ მეფის სასახლეში, რომელმაც პირველმა აღძრა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე, რადგანაც თვით ამ მეფემ თვისი უკანასკნელი დრო ამ სასახლეში გატარა, აქავე იყო შემუშავებული პროექტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ამავე სასახლეში დალია სული,—პატივსაცემლად ამ დიდსულოვანის მეფის ირაკლისა და ქართველ-სომეხთა სახსოვრად, დედათა წმ. ნინოს სასწავლებელი გადაცემულ იქმნას სამინისტრო უწყებაში, ინახებოდეს მთავრობის ხარჯით, მიენიჭოს ყოველივე უპირატესობა და უფლებანი სამინისტრო დედათა პროგიმნაზიისანი; ამას გარდა, ქართულ და სომხური ენების სწავლებას მიენიჭოს იგივე ღირსების ხარისხი, როგორიც სხვა სასწავლო საგნებსა აქვთ, და ამ ენების მასწავლებელთ იგივე უფლებანი, რაც სხვა საგნების მასწავლებელთა აქვთ; გაიხსნას რამდენიმე სტიპენდია მოსაგონებლად და პატივის საცემლად საქართველოს რუსეთთან შეერთების დამწყებ და დამმთავებელ მეფეთა—ირაკლის და გიორგი მე-XII სახელობით; ამავე მეფეთა სურათნი დაკიდებულ იქმნენ იმ დარბაზში, სადაც საქართველოს რუსეთთან შეერთების პროექტი პირველად იქმნა შემუშავებული ქართველთა დიდებულთა თანადასწრებით. 2) გამოვუცხადოთ ტფილისის საბჭოს ჩვენი სურვილი საქართველოს რუსეთთან შეერთების აქეთ ასის წლის საიუბილეო დღესასწაულობაში მონაწილეობის მიღებისა და ვსთხოვოთ შეგვატყობინოს თვით ქ. ტფილისის საბჭო და სამაზრო ქალაქები როგორ და რა სახით იღებენ აღნიშნულ დღესასწაულობაში მონაწილეობას“.

ეს განცხადება ჩვენს კურთხეულ თვით-მმართველობას ცოტა არ იყო ჩვეულებრივ მყუდროებას დაურღვევს ისე მიჩვეულია ჩვენი საბჭო თვისი მოქმედების ერთ გვარობას და ერთ ზომობას, საშიშია, ეს განცხადება იმ კარებს არ მოაფაროს, სადაც სხვას არ შეახედებენ ხოლმე; ვაი-თუ იფიქროს, ჩვენი ერთად-ერთი კალაპოტი მაგას არ გამოადგება და ჩვენ სხვა კალაპოტის გათლისა გვეშინია, ვაი-თუ კალაპოტები გაგვიმრავლდესო. მართალია, ძილი ორგანოს სისაღისათვის საჭიროა, მაგრამ აქედან ის არ გამოდის, რომ კაცს სულ უნდა ეძინოს. მოგეხსენებათ, გადამეტებული ყველაფერი საზარალოა, აგრეთვე საზარალოა ძილის გადამეტებაც.

თელავის თვით-მმართველობას დიდი საბუთი აქვს განცხადებაში მოხსენებულს საკითხებს სრულის ერთგულებით მოეკიდოს. უკაცრავად, „დიდი საბუთი“ მეთქი, დიდი საბუთი კი არა, „ბევრი დიდი და დიდი საბუთები“ აქვს: 1) რომ წარსული ოთხი წლის განმავლობაში არა გაუკეთებია რა, თუ არად ჩაუთვლით სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ჯამაგირების დროს გადუცილებლივ დარიგებას, ფანრების შემცირებას, ზოგიერთ ქუჩებში გზების გაფუჭებას, პურისა და ხორცის ღირსების დამცირებას და ამის მიუხედავად ფასის მომატებას; 2) რომ დღეს საბჭოს შეადგენენ, ერთისა თუ ორის გარდა, ისევ ისინი, ვინც იყვნენ წარსულ ოთხ წელიწადს; 3) რომ მეორე ოთხი წელიწადი ახალი საუკუნით იწყება, ანუ უკეთ—ახალი საუკუნე ამ ოთხი წლით იწყება და სხვ. და სხვ.

იმედი გვაქვს, ისარგებლებენ და არ იხელმძღვანელებენ ჩამოთვლილი საბუთებით და ახალი საუკუნის შესაფერ საქმიანობას გამოიჩენენ.

საღამოს დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

9 ივლისა.

პეტერბურგი. 8 ივლისს გარდაიცვალა აკადემიკოსი მ. ი. სუხომლინოვი.

ხარკოვი. ოფიციალურის ცნობებით, გაკოტრებულ სავაჭრო ბანკის ვალი უდრის $11^{1}/_{2}$ მილიონ მანეთს, ქონება დაფასებულია $13^{1}/_{2}$ მილიონად. განაღდების დროს ეს ციფრები შეიცვლება: ვალი ჩამოვა 7 მილიონამდე, რადგანაც ვალის ნაწილი უზრუნველ ყოფილია პროცენტიანი ქაღალდებით, ქონება—4.700 000 მანეთამდე. ბანკის დეფიციტი იქმნება, თუ ანგარიშში მივიღებთ დაკარგულ ძირითად და სათადარიგო თანხებს, 2.300 000. მ.

კოვნა. ნოვო ალექსანდროვის მაზრიდან იტყობინებიან, რომ გადაიწვა დაბა სოლოკი; დამწვარია 260 სახლი.

კიევი. კიევის გუბერნიაში ივნისის დამლევსა და ივლისის დამდეგს ჭიამ გააფუჭა 20% ჭარხლის პლანტაციებისა; ზარალი მეტად დიდი და აღუდგენელია; მეორედ დათესვა გვიანღაა.

კიევი. პურის ბაზრებზე სამხრეთ-რუსეთში ცოტა ვაჭრობაა. წლევანდელ პურის ფასი მატულობს, განსაკუთრებით ხორბლისა. შაქრის ფხვნილსაც ცოტას ყიდულობენ, რასაც იმით ხსნიან, რომ სამურაბე ხილის მოსავალი ნაკლები იყო და მურაბაც ცოტა გააკეთეს.

სოფია. ნახევრად ოფიციალური გაზეთი „ბოლგარია“ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბოლგარიის მთავრობისათვის მიცემული სესხი ივლისის კუპონების გადასახდელად გაუცია რუსეთის მთავრობას და არა რუსეთის სახელმწიფო ბანკს.

პრეტორია. გუშინ ნაშუადღევს, ფილტვების ანთებისაგან სამის დღის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პრეზიდენტ კრიუგერის მეუღლე.

ნეაპოლი. კრისპი ისევ ავად გახდა; გული მეტად სუსტად უცემს; დღეს უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ საშიშია. ექიმებმა ურჩიეს მას სრული მოსვენება.

რედაქტორი — გამომცემელი
ალ. ჭყონია. — ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 6 ივლისს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	$45,97^{1}/_{2}$
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$5^{1}/_{2}$—7%

4% სახელმწიფო რენტა	$96^{1}/_{8}$	გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96	გამყიდ.
5% I-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	408	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	330	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	229	„
$3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	$87^{1}/_{2}$	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$92^{3}/_{4}$	„
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
$4^{1}/_{2}$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	$93^{1}/_{2}$	„
% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუაღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსია არის: ორმოცდა ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულს ხარჯზე და 2—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთების ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ ჰსურთ შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთა ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერი კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ—მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20 მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему дворянской школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ში მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილი იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელრანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზე შემოტანისათვის, ეგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—6.—6)

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюля 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.